დადგენილება:**დ-27. 27233626**

თარიღი:**28/12/2023**

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 29**

**28 დეკემბერი 2023 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 20/01/2022; 270070000.35.163.016558).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებით „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას გაწეული ხარჯის ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი განისაზღვროს 770 (შვიდას სამოცდაათი) ლარის ოდენობით“.**

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი